ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ!

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

8 მაისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№19(9385)
ფასი 40 თეთრი

ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲛᲐ, ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲐ

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან ექვსი თვე გავიდა. სკეპტიკოსთა თუ ავისმსურველთა მოლოდინის საპირისპიროდ, საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტი სრულად ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო რადიკალური ოპოზიციის მიერ გამოცხადებულმა ბოიკოტმა თუ ვინმე დააზიანა და პოლიტიკურ სამარეში ჩაიყვანა, ეს თავად რადიკალური ოპოზიციაა, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

„საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, ასევე მოქალაქეებმა, განვლილ პერიოდში უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი მიიღეს, რაც მნიშვნელოვანია, კარგად შევაჯამოთ და გავიაზროთ. ზოგიერთების მოკლე მეხსიერებას სჩვევია ისტორიის გადაწერა და საკუთარ დღის წესრიგზე მორგება, რის საშუალებასაც, ბუნებრივია, არ მივცემთ.

რეფერენდუმი

ჩვენ გვახსოვს, რომ გასული საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციამ რეფერენდუმად მონათლა და თქვა, რომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ევროპასა და რუსეთს შორის. ეს კამპანია 2024 წლის მარტის პირველივე რიცხვებში სალომე ზურაბიშვილმა დაიწყო და მასში უცხოური და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა დააანონსა. საბოლოოდ, ყველა ოპოზიციური პარტია თუ ენჯეოლიდერი ამ ხედვის ქვეშ დადგა და ევროინტეგრაციის გზაზე ყველაზე მეტის გამკეთებელ ხელისუფლებას, ევროპის სახელით დაუპირისპირდა.

საქართველოს ხელისუფლებამ ეს გამოწვევა მიიღო. იყოს რეფერენდუმი, -ვთქვით ჩვენ. ოღონდ ჩვენ, ხალხს ავუხსნით, რეალურად რა რეფერენდუმია ეს, რასა და რას შორის ვირჩევთ. „ქართული ოცნების" კამპანია სწორედ ამ ხედვის გაზიარებას დაეფუძნა. ადამიანებს უნდა აერჩიათ წარსულსა და მომავალს შორის, ომის საფრთხესა და მშვიდობას შორის, დისკრედიტირებულ, დამნაშავე პოლიტიკოსებსა და პასუხისმგებლიან ხელისუფლებას შორის, ძალაუფლების წყაროს ქვეყნის გარეთ ძიებასა და ხალხის ნებას შორის, უცხოურ გავლენასა და თვითმყოფადობას შორის, და კიდევ უამრავ მსგავს ორ პოლუსს შორის, რომელსაც ცალსახად, კრისტალიზებულად და ერთმნიშვნელოვნად განასახიერებს კოლექტიური რადიკალური ოპოზიცია და „ქართული ოცნება".

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲐ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ!

წმინდა გიორგი არამარტო საქართველოს მფარველია, იგი ისეთი ქვეყნების მფარველიცაა, როგორიც იყო ბიზანტიის იმპერია და კიევის რუსეთი, დღეს კი მფარველად ითვლება ინგლისის გაერთიანებული სამეფოსი, ეთიოპიის, საბერძნეთის, სერბეთის, ავსტრიის ტიროლის, ესპანეთის არაგონისა და კატალონიის; მფარველობს ქალაქებს, როგორც მაგალითად გენუა, ბარსელონა, გერმანული ფრაიბურგი და სხვანი. ავსტრიაში წმინდა გიორგის სახელს ატარებს ორმოცდაოთხი მცირე ქალაქი, სოფელი ან დასახლება.

საინტერესო გადმოცემებია წმინდა გიორგის შესახებ ისლამურ წყაროებში, სადაც მას გირგისის ან ჯირჯისის სახელით მოიხსენიებენ. ისინი წმინდა გიორგის რეალურ პიროვნებად თვლიან, ეკუთვნოდა რა ქრისტიანთა იმ წრეს, რომელსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდა ისას (იესოს) მოწაფეებთან, მოციქულებთან.

წმინდა გიორგი რუმის კეისარის დიოკლეტიანეს დროს ცხოვრობდა, სამჯერ იქნა მოკლული მის მიერ და სამჯერვე აღსდგა. თა'ალიბის ცნობით იგი პალესტინაში ცხოვრობდა და შეხებაში იყო ისას (იესოს) მოწაფეებთან. ისტორიკოსი ატ-ტაბარი, რომელიც ირანელი გახლდათ, წერს მის შესახებ, რომ მკვდრებს აღადგენდა, ჰქონდა სასწაულებრივი უნარი გამხმარი ხეების შეფოთვლის და ქვის სვეტების ყვავილებით დაფარვის. როდესაც იგი მოკლეს, წყვდიადმა მოიცვა სამყარო და არ გაიფანტა მანამ, ვიდრე გირგისი არ აღსდგა. როგორც ვხედავთ, მუსლიმთა აღქმაში იგი მკვდრეთით აღსდგა.

წმინდა გიორგის სახე საცნაურია საქართველოს მთიანეთის „ღვთისშვილთა კულტის" რელიგიურ სისტემაში. ,,თეთრი გიორგის" (თეთრი ანუ ბრწყინვალე, ნათლითმოსილი). იგი ფიგურირებს საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბზე, რომლის შექმნაშიც მონაწილეობა ივ. ჯავახიშვილმა და სხვა ქართველმა მეცნიერებმა მიიღეს. ხოლო 1924 წლის დიდი ეროვნული აჯანყების წინ პარიზში დაფუძნდა ეროვნული დარაზმულობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ,,თეთრი გიორგი", რომელიც თვით მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი აქტიური იყო. ,,თეთრი გიორგი" ერქვა პატრიოტულ დაჯგუფებას ეროვნული მოძრაობის დროს, 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანების დასაწყისში.

წმინდა გიორგის კულტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში. სახელწოდება „გეორგია" XII-XIII საუკუნეების ჯვაროსნებისგან მომდინარეობს, რომელთაც ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენიათ.

,,ქართველობა გააერთიანა ქართულმა ქრისტიანობამ. კერძოდ, წმინდა გიორგის კულტმა. სამურზაყანოდან საინგილომდე ყველგან მისი ტაძრებია, ყველგან თაყვანს სცემენ მას. მართლაცდა რა უნდა იყოს უფრო დიდი ემბლემა ჩვენი ერის სულისა, ვიდრე თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, ვეშაპის განმგმირველი" - წერდა ზვიად გამსახურდია.

საქართველოში გიორგობა ორჯერ აღინიშნება- 6 მაისსა და 23 ნოემბერს

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ!

ჟურნალისტის პროფესია მკაცრად გვავალდებულებს, იმაზე მეტს ვხედავდეთ, ვიდრე სხვები ხედავენ და იმაზე მეტს ვისმენდეთ, ვიდრე სხვები ისმენენ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს გარშემო პრობლემები მართლაც ბევრია, მოქალაქეები არასდროს ერიდებიან მათ შესახებ საუბარს. იმაზეც ვთანხმდებით, რომ წლიდან წლამდე უამრავი რამ კეთდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით,- თუმცა მაინც ნეგატიურს ხედავს მოსახლეობა და საუბრობს კიდეც. არც ეს არის საწყენი და სათაკილო. როდესაც პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ საკურორტო და ტურისტული ზონა ვართ, კიდევ მეტი წესრიგი გვმართებს. ვედრებით ევროპასა და ამერიკას, თუმცა ამის სანაცვლოდ სულ მცირედიც არ გვაკავშირებს ევროპასთან და ამერიკასთან. სტუმარ-მასპინძლობა, ,,მოდი გენაცვალე' რომ იცით, ნაირ-ნაირი სადღეგრძელოებითა და პურ-მარილით სავსე სუფრით ხვდებით სტუმარს, დამერწმუნეთ, მხოლოდ ეს არ კმარა. დიახ, არ კმარა! გავყვეთ თანმიმდევრულად და დავინახავთ, რამდენი პრობლემაა ჩვენს ყოველდღიურობაში. ყველაზე თვალშისაცემი დღემუდამ გადავსებული ნაგვის ურნებია, რომელიც ქალაქის ცენტრის განუყოფელი ატრიბუტია. მოსახლეობა თითქოს დადარაჯებულია, დასუფთავების სამსახური როგორც კი ურნებს დაასუფთავებს, რამდენიმე წუთში, ჯადოსნურ ჯოხს რომ დაიქნევ და ,,ურნა გაივსეო'' შემოსძახებ, აი, სწორედ ასე ავსებენ ურნებს ახალი ნაგვით. ეს ისე, ვითომ ხუმრობით, თუმცა ხომ ნამდვილად რეალობაა და არა ტყუილი? აი, მერე კი ამ ნაგავს დაპატრონებული ქუჩის (თვითონ უპატრონოდ) მიტოვებული ძაღლები საათობით გლეჯენ ნაგვის პარკებს და მერე ამ პარკებს ჰაერში ატრიალებს მონაბერი ქარი. ძალიან ცუდი მაგალითია, როდესაც საკუთარ გასაკეთებელს სხვას ვაბრალებთ და მივუთითებთ როგორ მოიქცეს. თუ არადა, ნებისმიერ სიტუაციაში, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ გულში უნდა ვიხედებეოდეთ, ვიქცევით კი შესაბამისად? როდესაც რაღაც არ მოგვწონს, ჯერ თვითონ უნდა ვცდილობდეთ იმის გამოსწორებას. თუმცა, სხვას ვაწმენდთ ხელს. ელემენტარული ნაგვის დახარისხება და გადაყრაც წესის ფარგლებში გვმართებს და არა, სადაც როგორ მოგვეხალისება, იქ დავყაროთ. ისედაც კარგად ვხედავთ, რომ გადაყრილ ნაგავში უპატრონო ძაღლები და ახლა უკვე ცხენებიც იქექებიან. არ ჯობია, რომ საკვების ნარჩენები შესაბამისად შეფუთოდ და იქვე ნაგვის ურნის საიხლოვეს მეტად ცივილიზებულად დაახვედროთ მშიერ ცხოველებს? თუმცა არა, ნაგვის პარკის ერთი მოსროლით ყველაფერს აგვარებთ, სამაგიეროდ, ქალაქში დანაგვიანებული ტერიტორიების გავრცელებას უწყობთ ხელს.

თუნდაც, ავიღოთ კიდევ ერთი მოუგვარებელი პრობლემა - რამდენიმე უბნიდან მოსახლეობა გაუმართავი საკანალიზაციო სისტემის შესახებაც ხშირად საუბრობს. როდესაც სისტემა გაიჭედება, ჭები გავსების პირასაა და მოსახლეობა ველარ სარგებლობს, შესაბამის სამსახურს მიმართავენ. ასეა ახალი უბნის დასახლებაშიც. რამდენჯერ იყო მისული შესაბამისი სამსახური, პირთამდე გადმოსული საკანალიზაციო ჭების გასაწმენდად, მოსახლეობას უკვე სათვალავი აერია. წმენდენ, თუმცა მერე ისევ გასაწმენდი ხდება. უკვე საეჭვოა, მართლა რისი ბრალია, როდესაც შეიცვალა მილები, ალბათ, მაშინ არ ჩააწყვეს შესაბამისი დიამეტრის მილები? ან კიდევ, მოსახლეობა იმდენად უპასუხისმგებლოა, რომ ისეთი სახის ნივთებს და პროდუქტებს, დიახ არ გეჩვენებათ, რომ უნიტაზში ყრიან, რაც არც დაშლას და მერე არც მილებში გატარებას აღარ ექვემდებარება? ერთ-ერთ დასახლებაში მცხოვრებმა მოქალაქემ, რომელიც მეზობელს უყვებოდა, - ეს რა ვნახე, კორპუსში კანალიზაცია გაიჭედა და გასაწმენდად რომ მოვიდნენ, პომიდორი და სხვადასხვა სახის ბოსტნეული ნახეს ჩაყრილიო. ნეტა, ვინც ჩააგდო, თუ არ შერცხვაო? საკვების ნარჩენების ადგილი არ არის უნიტაზში, ეს, ალბათ, ყველამ უნდა იცოდეს, თუმცა რომ არ იციან, ამაში ვრწმუნდებით. (ერთ-ერთ უბანში საკანალიზაციო მილიდან მუშებმა ზეწარიც ამოიღეს). ერთია, როდესაც ქალაქის

განაპირა დასახლებებში ვხვდებით პრობლემებს და მეორეა, როდესაც ჩვენს თვალწინ, ქალაქის ცენტრში ე.წ. ,,თიბისი'' ბანკის სიახლოვეს, მაღაზია ,,ბარდასის'' ჩიხში, ბოლო პერიოდია ტბასავით დგას კანალიზაციის წყალი. გასულ წელსაც სწორედ აღნიშნული ტერიტორიიდან მიედინებოდა ნიაღვარი ქალაქის ცენტრში და სეზონზე ადგილობრივები თუ ჩამოსული სტუმრები ცხვირზე ხელაფარებულები დადიოდნენ - რა საშინელებაა, ამ პაპანაქება ზაფხულში ეს კოშმარული სუნი, პატრონი არ ყავს ქალაქს, რომ ეს სიტუაცია მოაგვაროს? -ასე შეძახილით ერიდებოდნენ ტერიტორიას.

ჯერ კიდევ სიცივეებია, უამინდობაა და სუნი არც ისე საგრძნობია, თუმცა მზიანი ამინდების ფონზე ხომ წარმოგიდგენიათ, აღნიშნულ ტერიტორიაზე გადაადგილება რამდენად გაუსაძლისი იქნება? მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სამსახურმა და მოსახლეობამ, პირველ რიგში იზრუნოს არსებული სიტუაციის მოგვარებაზე, რადგანაც თუ თვითონ მოქალაქეები არ იქნებიან დაინტერესებულნი იმით, რომ მათი საცხოვრისის სიახლოვეს სისუფთავე და წესრიგი იყოს, ჩამოსული სტუმარი და დამსვენებელი საკუთარ ნეგატიურ და პოზიტიურ შთაბეჭდილებებს ერთნაირად უზიარებენ გარშემომყოფებს. ასე რომ, საკუთარ იმიჯზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ. ვნახოთ, როგორ მონესრიგებულ ქალაქს დავახვედრებთ ჩამოსულ სტუმრებს.

ᲜᲐᲯᲝ ᲗᲔᲚᲘᲫᲘᲫᲔ

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲔᲑᲡ!

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ,
***2 117** ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲡ*
***498 938** ᲚᲐᲠᲘᲡ*
ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲬᲘᲐ



ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, აპრილში, 2 117 ბენეფიციარს 498 938 ლარის დახმარება გაეწია. ინფორმაციას ბორჯომის მერია ავრცელებს.

„მათ შორის: 235 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 222 106 ლარი გამოიყო;148 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 29 793 ლარით დაფინანსდა; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 32 პაციენტი 34 109 ლარით დაფინანსდა;114 მრავალშვილიანი ოჯახი 27 650 ლარით დაფინანსდა; 369 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 14 480 ლარით დაფინანსდა; ცელიაკიის დიაგნოზის მქონე 2 ბენეფიციარს 150-150 ლარი ჩაერიცხათ.

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა"- წერია ინფორმაციაში.

შემაჯამებელი გამოსვლა არჩევნებიდან დღემდე

(გაგრძელება)

უცხოეთის გავლენა

სხვა წინა არჩევნებისგან უპრეცედენტო და განსხვავებული რაც ვნახეთ, იყო უცხოეთის ღია და პირდაპირი ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ პროცესში და ხალხის ნებაზე დაუფარავი ზემოქმედება. გარდა იმისა, რომ ეს კანონმდებლობით პირდაპირაა აკრძალული, საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის ღია და თავისუფალ კონკურენციაში ზოგიერთმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ დაიჭირა ცალსახა მხარე ოპოზიციის სასარგებლოდ და მათი განცხადებები პირდაპირ მიმართა ქვეყანაში ხელისუფლების შესაცვლელად.

გარდა პირდაპირი აგიტაციისა და მოწოდებისა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაჩნდა პირდაპირი მინიშნებები და მუქარა, რომ არჩევნების არასასურველ რეზულტატს მოჰყვებოდა სათანადო სადამსჯელო შედეგები, სანქციები, ვიზალიბერალიზაციის შეჩერება და სხვა ინსტრუმენტების ამოქმედებაც. დიპლომატიურ წარმომადგენლებთან უნისონში, მთელი რიგი ოდიოზური ფიგურები სხვადასხვა დედაქალაქების პარლამენტებიდან ბევრად ხისტად და დაჟინებით ზემოქმედებდნენ საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესზე, რასაც ოპოზიციის კუთვნილი მედია სრულიად ევროპულ პოზიციად გვისაღებდა.

პოლარიზაცია

საარჩევნო პროცესში ამგვარმა ჩარევამ და რადიკალიზაციამ წარმოშვა სრულიად პოლარიზებული გარემო, სადაც ქვეყნის მოქალაქეები მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში სასურველი პარტიის არჩევის ნაცვლად ჩათრეული აღმოჩნდნენ სრულიად პოლარიზებულ, აპოკალიფსურად დამუხტულ ვითარებაში, რომელსაც ქვეყნის ბედისწერა უნდა გადაეწყვიტა. ეს ხელოვნური პოლარიზება ხელისუფლებისგან ითხოვდა კარგად გააზრებულ მოქმედებას, ერთი ხელით ეწარმოებინა საარჩევნო კამპანია, დაეცვა საკუთარი ხედვა და პოზიცია, ელაპარაკა ხალხთან, ხოლო მეორე ხელით უზრუნველჰყო სამართლიანი გარემო და არჩევნების თანასწორ და გამჭვირვალე პირობებში ჩატარება.

მართლაც, 27 ოქტომბრამდე ქვეყანაში არ გაჩენილა არც ერთი პრეტენზია ცესკო-ს საქმიანობის და ახალი, ელექტრონული მთვლელი მანქანების საშუალებით არჩევნების ჩატარების მიმართ. ყველა დამკვირვებელი, წარმომადგენლობა და თვით ოპოზიციაც სრული სისავსით დადებითად აფასებდა გაწეულ სამუშაოს. „სათამაშო მოედნის" მიმართ, თვით 26 ოქტომბრის ჩათვლით რაიმე სერიოზული პრეტენზია არ გამოთქმულა.

ხალხის არჩევანი

ქართული ოცნების მიერ საარჩევნო კამპანიაში გახმიანებული თემა ომის არდაუშვებლობის შესახებ პრაქტიკულად დადასტურდა საარჩევნო პროცესში უცხოეთის პირდაპირი ჩართვით, რომელიც ცალსახად ისახავდა მიზნად ხელისუფლების ცვლილებას. ტაქტიკური გათვლა კი მდგომარეობდა იმ ცრუ მოლოდინზე, რომ ფოჩიანი კანფეტის თუ თაფლაკვერის დაპირებით ქართველი ხალხის უმრავლესობა მოტყუვდებოდა და ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს განუდგებოდა. მათ ვერ გათვალეს, რომ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მატარებელი ერი, რომელმაც ისტორიის მიმდინარე ეტაპზეც არაერთი მწარე გაკვეთილი იწვნია, ასე ადვილად ანკესზე ვერ წამოეგებოდა.

თაფლაკვერის დაპირებას მართახის მუქარაც მოჰყვებოდა სანქციებისა და სადამსჯელო მექანიზმების სახით, თუმცა მოსახლეობის სრულმა უმრავლესობამ სწორი არჩევანი გააკეთა და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, დიდ ომში მშვიდობის შენარჩუნებასა და ეკონომიკის გადარჩენას მისცა ხმა. ეს დიდი შემობრუნება ჩვენი სამშობლოს ავის მოსურნეთათვის სილის გაწვნად იქცა და მათრახმაც არ დააყოვნა. უცხოეთის ცრუ მოლოდინმა - იმედგაცრუება, ხოლო იმედგაცრუებამ ბრაზი გამოიწვია.

შანტაჟი

26 ოქტომბრის არჩევნებზე, ბარიერგადალახულმა ოპოზიციამ ჯამურად, ხმათა 38% მოაგროვა, რაც სარეფერენდუმო პროპაგანდისთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. თითქოს ეს მნიშვნელოვანი მიღწევა ოპოზიციას უნდა გახარებოდა, სამომავლო საქმიანობის კარგ

ბაზისად ექცია და კონსტიტუციურ ჩარჩოებში საქმიანობის გასაგრძელებელ მოტივაციად ქცეულიყო; მაგრამ აღმოჩნდა, რომ უცხოელ პატრონებს მხოლოდ ერთი შედეგი აძლევდა ხელს - ხელისუფლების ცვლილება. დემოკრატიის განვითარება და წინგადადგმული ნაბიჯი ლიტონი ტერმინი გამოდგა. გვახსოვს, არჩევნებიდან ორ დღეში მიღებული მითითებები, იპოვეთ და მოაგროვეთ არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები; და ასევე გვახსოვს სასოწარკვეთილი ოპოზიციის განწირული მცდელობები, ხან ციური 300 ათასი ზედმეტი ხმა ეპოვათ და ხან „გაჟონვის" მითი გამოეგონებინათ.

ოპოზიციას, სალომე ზურაბიშვილის ხელით, პირდაპირ უბიძგეს ბოიკოტის გამოცხადებისა და დაუმორჩილებლობისაკენ. დაიწყო შანტაჟის მორიგი რაუნდი, არაღიარებით ვაჭრობა, რომლის მსგავსიც 2020 წლის არჩევნებზეც ვნახეთ. შანტაჟის გამოყენებაზე უარი მაშინაც არ თქვეს, როდესაც დაინახეს - ხალხი არჩევნების შედეგს არ აპროტესტებს, დემონსტრაციები არ იკრიბება, გაყალბების მტკიცებულებები არ არსებობს, პარლამენტი კი წარმატებით შეიკრიბა და სხდომებიც გაიხსნა.

ჩვენ დავინახეთ უცხოური შანტაჟის გაგრძელების მკაფიო სცენარი - ოპოზიციის მხარდაჭერა, დიპლომატიური წარმომადგენლობების დუმილი, ბოიკოტი, დისტანცირება, კონსტიტუციური წესრიგის საფუძვლების მორყევა და ისეთი ჩუმი კრიზისის შექმნა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ტყუილთან კომპრომისის საჭიროებას წარმოშობდა.

28 ნოემბერი

მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის გახსნიდან ორ დღეში, უკმაყოფილო უცხოეთის მხრიდან დემარშისა და მტრული განწყობის ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ შანტაჟის რეჟიმში ყოფნაზე უარი თქვა. სწორედ მაშინ ითქვა, რომ ქვეყანა არ ჩადგებოდა მდგომარეობაში, როდესაც მისი პოლიტიკა უნდა დაექვემდებაროს გარე მითითებებს, ხოლო მითითებების არშესრულების შემთხვევაში შანტაჟის ინსტრუმენტებად გამოყენებული იქნებოდა „თაფლაკვერების" ვერმიღება, შიდა არეულობის ინსპირირება და სხვა მსგავსი იარაღი.

„ქართულმა ოცნებამ", ამომრჩევლის უმრავლესობის ნებაზე დაყრდნობით, თვალი გაუსწორა შექმნილ ვითარებას და გარე ჩარევას სათანადო პასუხი გასცა. ჩვენ განვაცხადეთ, რომ გავაგრძელებთ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირის წევრობისთვის აუცილებელი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად მუშაობას 2028 წლამდე, მანამდე კი მოლაპარაკებების გახსნას და სხვა შუალედურ ეტაპებს ვაჭრობის საგნად არ ვაქცევდით. ეს განცხადება უკმაყოფილო, იმედგაცრუებულმა და გაბრაზებულმა უცხოეთმა თბილისში საპროტესტო გამოსვლების დასაწყებად გამოიყენა.

დაპირისპირება

გაბრაზებული უცხოეთის აგრესია ნოემბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებაბაც გაზარდა. არჩევნებში დამარცხებულ ადმინისტრაციას ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე თბილისის ზღვარგადასული პროტესტისთვის და მორიგი ფერადი რევოლუციისთვის მწვანე შუქი სრულად ჰქონდა ანთებული. საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს უდიდესი ძალისხმევის გაღება მოუწიათ რუსთაველის გამზირზე წესრიგის, უსაფრთხოებისა და პარლამენტის სასახლის შტურმისგან დასაცავად. ამ შეტაკებებში არაერთი დემონსტრანტი და სამართალდამცავი დაშავდა.

ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, როგორი დუმილით ადევნებდა თვალს მიმდინარე პროცესს დიპლომატთა ის ნაწილი, რომელიც წინასაარჩევნოდ სიტყვაუხვობდა, ახლა კი, სწორედ მათი ინსპირირებით, როგორ მიუშვეს აგრესიული დემონსტრანტები პოლიციასთან დასაპირისპირებლად. მათ კარგად ესმოდათ ქვეყანაში დაპირისპირების რეალური მიზეზი და არათუ არაფერი გააკეთეს ოპოზიციისთვის ცრუ ნარატივის გამოსართმევად, არამედ ყოველგვარად წაახალისეს პარლამენტზე თავდასხმა. მანამდე, პირველად ჩვენს ისტორიაში, დემონსტრანტს ცოცხალი ადამიანისთვის „მოლოტოვის კოქტეილი" ასროლინეს, დასაწვავად გაიმეტეს და შემდეგ გმირად გამოაცხადეს. სწორედ ამის შედეგად ვიხილეთ პირდაპირი მნიშვნელობით გახსნილი ცეცხლი რუსთაველის გამზირზე.

პროპაგანდის მარცხი

სრულიად მოულოდნელად, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა იმ მავნე პრაქტიკის დასრულების შესახებ, რომელსაც იყენებდა ამერიკის ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე რბილ ძალად მონათლული USAID-ის თუ NED-ის გამოყენებით. ახალი ადმინისტრაციის განსხვავებული მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობის, უკრაინაში მიმდინარე ომისა და ნამდვილი ამერიკული ინტერესების მიმართ გლობალისტური ძალებისა და ომის პარტიებისთვის ცივი შხაპი აღმოჩნდა.

პრეზიდენტმა ტრამპმა უდიდესი ძალისხმევა გასწია უკრაინაში ცეცხლის შესაწყვეტად და მშვიდობის დასამყარებლად, რომელიც ჯერ ისევ აწყდება წინააღმდეგობას. მან დახურა USAID-ი, როგორც ამერიკული გრძელვადიანი ინტერესების დამაზიანებელი ინსტიტუცია. დაიწყო ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესი. USAID-ის, როგორც მთავარი დონორის ჩახსნამ საერთაშორისო ასპარეზიდან, მათ შორის საქართველოდანაც, სხვა ფონდები აიძულა, ნაწილობრივ მაინც შეევსოთ ევროებით გამქრალი დოლარები.

სწორედ ამ დაკნინებულ პროტესტს ვხედავთ დღეს, რომელსაც გაკოტრებული დღის წესრიგით მაინც ახალისებენ. ამ პროცესზე დაკვირვება საინტერესოა იმითაც, რომ ზუსტად დავინახოთ ამერიკული ინტერესის სამომავლო ფორმირება და მექანიზმები: ახალი ადმინისტრაცია რეალურად ახერხებს „დიფ სთეითის" დამარცხებას, რისი შედეგიც იქნება სხვა ქვეყნების შიდა პოლიტიკაში რბილი თუ ხისტი ძალით ჩაურევლობა და პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება, თუ ამის შედეგად მხოლოდ დისკრედიტირებული და გაკოტრებული ინსტრუმენტები გაუქმდება, სანაცვლოდ კი იმავე დანიშნულების, მაგრამ ახალი ფორმის ზემოქმედების მექანიზმებს მივიღებთ.

გამარჯვება

არჩევნებიდან ექვსი თვის თავზე, „ქართულმა ოცნებამ" საზოგადოებას გამარჯვების რწმენა დაუბრუნა. მან არა მხოლოდ თავის ამომრჩეველს, არამედ ოპოზიციურ ელექტორატსაც კარგად დაანახა, რომ:

„ქართული ოცნება" ემსახურება მხოლოდ საქართველოს და მის ეროვნულ ინტერესებს;

უცხოური გაუმჭვირვალე დაფინანსება ემსახურებოდა უცხოეთის ინტერესებსა და მათ დღის წესრიგს;

ომის საშიშროება რეალურია და ომის მსურველთა გეგმების მორევა ამერიკის პრეზიდენტის ნებასაც კი უჭირს;

ქართული ოპოზიცია მიბმულია გარედან მიღებულ ინსტრუქციებს და ხალხის ლეგიტიმაცია მათთვის არაფერია;

ქვეყანაში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტი მხოლოდ პასუხისმგებლიანი ხელისუფლება - „ქართული ოცნებაა".

შეცვლილი საერთაშორისო ვითარების კვალდაკვალ, ხელისუფლებამ ოპონენტი პარტნიორები აიძულა, რომ მისი სამართლიანი, კანონიერი და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული მოთხოვნებისთვის ანგარიში გაეწია. დაიწყო შეხვედრები, გამოჩნდა დიალოგის ნიშნები, დაიძრა ურთიერთობები, ხოლო მტრულად განწყობილი გარე ჯგუფების მხრიდან საქართველოს იზოლაციის მცდელობამ და სანქციებით დაშინებამ შედეგი ვერ გამოიღო. საქართველო კვლავ რჩება დასავლურ ორბიტაზე, მისი კარი ღიაა, ის ერთგულია მეგობრებთან 30-წლიანი სტრატეგიული პარტნიორობის და მზად არის ახალი ფურცლის გადასაშლელად.

საბოლოოდ მიღწეული მონაპოვრის განმტკიცება და გამარჯვება შემოდგომაზე გასამართ არჩევნებზე მოხდება. მნიშვნელოვანია, უცხო გავლენების მატარებელი ადამიანებით დაკომპლექტებულ პარტიებს, საზოგადოებამ სათანადო განაჩენი გამოუტანოს და თავისი ხმა არგუნოს იმ პარტიებს, რომლებიც ქართული ეროვნული ინტერესების სათანადოდ მოქმედებენ. პარტიებს შორის განსხვავებები სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე თემებს უნდა ასახავდეს და მათი დღის წესრიგი უცხოეთის გავლენას არ უნდა ატარებდეს. ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნები დამოუკიდებლობის განმტკიცების ამ გზას დიდ წერტილს დაუსვამს.

მიზანი

„ქართული ოცნება" სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას ქვეყნის, სახელმწიფოს, მისი ისტორიის, აწმყოსა და მომავლის წინაშე. სწორედ ესაა ჩვენი მთავარი მახასიათებელი და ამით განვსხვავდებით ძალაუფლების წყურვილით აღსავსე, რევანშის სურვილით დაბრმავებული და მოკლე თვალთახედვის მქონე ოპონენტებისაგან.

ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნის მართვა გვხვდა წილად, რაც უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ გადმოსახედიდან კი, რამდენად სავალალოდ ჩანს ჩვენი უახლესი წარსული, ავანტიურისტი ხელისუფლების და მმართველების მიერ უცხო ინტერესების მსახურად და ასპარეზად ქცეული სამშობლო, რომელსაც უდიდესი სისხლის ფასად დღემდე მოტანილი მიწებით მოუწია შეცდომათა ზღვევა. ამ მძიმე წარსულისა და გამოცდილების ფონზე, რამდენად დასაფასებელია „ქართული ოცნების" მცდელობა, სიფრთხილე, რუდუნება, ბეწვის ხიდზე გაატარებინა ქვეყანა, ქართველი ხალხი და მომავლის პერსპექტივას გაფრთხილებოდა.

სწორი მართვა, ცოდნა, სიბრძნე, გამოცდილება - ეს მხოლოდ საშუალებებია, მთავარი ამ პროცესში სამშობლოს უდიდესი და უპირობო სიყვარულია. ამას აკეთებს „ქართული ოცნება" ხალხთან ერთად, რომელსაც ზუსტად ესმის და გრძნობს, თუ სადაა სინამდვილე. ეს ჩვენი სიღრმისეული, 3 000-წლოვანი სიბრძნის დამსახურებაა, იმ სიბრძნის, რომელმაც გლობალური ინტერესებით მოქმედი ძალების პირისპირ საუკუნეები გამოგვატარა და დღევანდელობამდე მოგვიყვანა. ასე რომ, გლობალური ინტერესებით მოქმედ ძალებთან ბრძოლა ისევე ძველია, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობა. ჩვენი მიზანი ამ ეპიკურ დაპირისპირებაში ისევე სახელოვნად გამარჯვებაა, როგორც ამას ჩვენი ბრძენი წინაპრები ახერხებდნენ.

უახლოესი მიზანი კი, ცხადია, ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებაა. გლობალური „დიფ სთეითი", რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს სახელმწიფოებსა და კორპორაციებზე, საკუთარი ინტერესების გატარებას მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გავლენათა კოორდინაციით ახერხებს. ქართული ოპოზიცია, სამწუხაროდ, ამ უცხო გლობალური ინტერესის ბრმა იარაღად იქცა და ნამდვილ, ქართულ, მშობლიურ გამოცდილებას დაუპირისპირდა.

ჩვენ ამ ბრძოლას კიდევ ერთხელ მოვიგებთ და საქართველოში ახალ ფურცელს გადავშლით", - წერს **შალვა პაპუაშვილი**.

არავინ და არაფერია დავიწყებული!

წინაპრის ხსოვნას შთამომავლობა წმინდად ინახავს

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. დიახ, საბჭოთა ხალხმა უსასტიკეს მეორე მსოფლიო ომში, რომელიც თითქმის ოთხი წელი გაგრძელდა, ჰიტლერული გერმანიის კბილებამდე შეიარაღებული ძალები თავისივე ბუნაგში დაამარცხა.

საბჭოთა ხალხი ამ ომს სამართლიანად უწოდებდა სამამულო ომს, სამშობლოს დასაცავად იარაღით ხელში იბრძოდა დიდი და პატარა .ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, მათ შორის საქართველოს შვილები. მრავალმა მებრძოლმა მამაცური და სამაგალითო ბრძოლის ეპიზოდებით ასახელა მშობლიური სამშობლო, არაერთმა ბორჯომელმა ვაჟკაცმა დიდების შარავანდელით უკვდავყო წინაპართა ხსოვნა.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ სახელოვან ვაჟკაცთა შორის იყო საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, პატრიოტი მებრძოლი **ვასილ სტეფნაძე**, რომელმაც ომამდე წარმატებით დაამთავრა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი, რამდენიმე წელი ბანისხევის სატყეოში იმუშავა მეტყევე-ტექნიკოსად, შემდეგ წითელ არმიის რიგებში იმსახურა, ჯარიდან შინ დაბრუნებულმა ჩამომსხმელ ქარხანაში საამქროს ექსპედიტორად დაიწყო მუშაობა. მრისხანე ორმოცდაერთში ომი დაიწყო, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ბრძოლებით გაიარა მეტად დიდი გზა: ტუაფსე, ნოვოროსიისკი, კრასნოდარი, უკრაინა, ბელარუსია, ლიტვა, კენისბერგი, ბერლინში ბრძოლით შევიდა. ვასილმა ფრონტზე



სამხედრო საქმეც ძეისწავლა და არტდივიზიონში ქვემეხის ათეულის მეთაური იყო.

ახალგაზრდა ვასილი ბრძოლის ველზე მიიღეს პარტიის რიგებში, იგი გამორჩეული სიმამაცით და თავგანწირვით სამაგალითო იყო თანამებრძოლებისთვის.

ბრესტის მისადგომებთან საზენიტო ქვემეხით მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო, ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის წითელი ვარსკვლავის და დიდების ორდენებით და 13 საბრძოლო მედლით დააჯილდოვეს. სახელოვან მებრძოლს მიღებული ჰქონდა იოსებ სტალინის 6 მადლობა.

ომის დამთავრების შემდეგ ვასილი დიდხანს ღებულობდა ვეტერანი მებრძოლებისგან ომში გამარჯვების აღმნიშვნელ მილოცვებს, მრავალ სასკოლო მუზეუმებში გამოფენილი იყო მისი სურათები.

ომის დამთავრების შემდეგ ვასილი მშვიდობით დაუბრუნდა მშობლიურ ბორჯომს და მუშაობა დაიწყო ჩითახევჰესის მშენებლობაზე, მუშაობდა №61 ხიდმშენის ტრესტში. ომის ვეტერანმა გარდაცვალებამდე 37 წელი კეთილსინდისიერად იშრომა და ომში მოპოვებულ ჯილდოებს მშვიდობიან შრომაში მოპოვებული ჯილდოებიც მიუმატა. 1980 წელს ბატონი ვასილი სსრკ-ს საავტომობილო გზების სამინისტროს საპატიო სიგელით და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

ვასილის მეუღლე, ქალბატონი ლამარა შურღაია, 30 წელი რველის სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგი გახლდათ. სამწუხაროდ, ქალბატონი ლამარა გარდაიცვალა. ჰყავდათ ორი შვილი - ნათელა და ჯემალი.

სამწუხაროდ, ოჯახის უფროსი შვილი, ჯემალი, გარდაიცვალა. დღეს საამაყო მშობლების ხსოვნას პირნათლად ინახავს პენსიონერი ქალბატონი - ნათელა.

ვასილ სტეფნაძის ნაფუძარზე იზრდებიან შვილიშვილები: ირაკლი, გიორგი და თეონა. ირაკლი სტეფნაძე ბორჯომის მინწყლების ქარხნის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელია. სამი შვილთაშვილიდან, ლაზარე სტუდენტია, ნიკოლოზი და დაჩი - სკოლის მოსწავლეები, რომლებიც წმინდად ინახავენ დიდი ბაბუის ნათელ ხსოვნას, არ ივიწყებენ და ყოველ 9 მაისს ყვავილებით ამკობენ სახელოვანი წინაპრის საფლავს.

ვალერიან ლომიძე.

ბორჯომელთა წვლილი დიდ სამამულო ომში

9 მაისს საბჭოთა ხალხის ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავი შესრულდა. ომმა არნახული მსხვერპლი მოუტანა მსოფლიოს და უპირველესად საბჭოთა კავშირს. სახელოვანი მხედართმთავრისა და გენერალ სიმუსის იოსებ სტალინის მხედრულმა სტრატეგიამ ლახვარი ჩასცა კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტებს. თავისივე ბუნაგში გაანადგურა ჰიტლერის უძლეველი დივიზიები.

სამამულო ომში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების მხარდამხარ, ერთგულად და თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს მშრომელები. საქართველოდან გაწვეულ იქნა 600 ათასი მებრძოლი, რომელთა ნახევარი ომმა შეიწირა. აუნაზღაურებელი ზიანი განიცადა სახალხო მეურნეობამ.

მარტო ბორჯომის რაიონიდან ომში გაწვეული იყო 6480 მებრძოლი, აქედან ომში დაიღუპა 3394 და უგზოუკვლოდ დაიკარგა 1800 ბორჯომელი.

რაიონის მოსახლეობამ თავდაცვის ფონდში გადარიცხა 23,5 მილიონი მანეთი.

მებრძოლებს ფრონტზე გაუგზავნა 20 მილიონი მანეთის საჩუქრები და ტანსაცმელი, ხოლო რაიონის წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ სამშობლოს დამცველებს გაუგზავნეს 92,6 ტონა კვების პროდუქტი.

ბორჯომის მოქმედი სანატორიუმები ევაკოჰოსპიტალებად გადაკეთდა. 10 ევაკოჰოსპიტალში იმკურნალა 113566 დაჭრილმა ჯარისკაცმა, აქედან ჯანმრთელობა აღიდგინა და ფრონტს დაუბრუნდა 78418 მებრძოლი ანუ დაჭრილთა 69 პროცენტი, რაც საბჭოთა კავშირში მოქმედი ევაკოჰოსპიტალებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

შინმოუსვლელი ჭაბუკნი...

9 მაისს, საქართველოში და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნება.

1945 წლის 9 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ, ევროპაში, მეორე მსოფლიო ომი - კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი დასრულდა. ომში 72 სახელმწიფო მონაწილეობდა. ეს დედამიწის მოსახლეობის 80%-ია. ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მილიონი ადამიანი - 67 მილიონი დაიღუპა.

ამ ომში საქართველომ 300 ათასი ვაჟკაცი დაკარგა.

ჩემი ბაბუა თავის სამ ძმასთან ერთად შინმოუსვლელ ჭაბუკებად დარჩნენ მარად...

ჩვენს თაობას უნდა ახსოვდეს ეს და გადასცეს მომავალ თაობებს, თორემ ისეთი პროპაგანდა მიდის დასავლეთის სამყაროში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომ ცოტა ხანში, ნაცისტურ გერმანიის მთავარ დამმარცხებლად აშშ-ს მოგვივლენენ - გა-



მაცხადა კიდეც პენტაგონმა ადრე, ოფიციალურ რეზიუმეში, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინის და ჰიტლერის (სწორედ ამ თანმიმდევრობით) მიერ იყო გამოწვეული, რაც აბსოლუტური აბსურდი, ისტორიის გაყალბება და საზიზღარი რევიზიონიზმია - ადოლფ ჰიტლერის მიერ წამოწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა, რაზეც „წითელი კოჭი" სწორედაც რომ იგივე აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა (ფაშისტურ იტალიაზე არცაა საუბარი), ესპანეთმა, თურქეთმა და ზოგადად, მთელმა ევროპამ უგორა 1934-1938 წლებში და აღმოსავლეთისკენ „მწვანე შუქი" აუნთო, 67 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის უმრავლესის, მხოლოდ ეთნიკური და პოლიტიკური ნიშნის გამო (ებრაელთა და კომუნისტთა), რაც კაცობრიობის წინაშე დანაშაული იყო და მას, სწორედ რომ საბჭოთა კავშირმა და მათ შორის, 300 ათასმა ქართველმა გამოუტანა საბოლოო განაჩენი - დიდება მათ სულებს და მარადიული ხსოვნა მათ თავდადებას!

როგორც ნიურნბერგის პროცესის საბოლოო, საბრალდებო დასკვნაში წერია (რომელსაც ასევე „ავიწყებენ" ერებს, ქვეყნებს, ნელ-ნელა), ნაცისტური, ფაშისტური დანაშაულებისა და დამნაშავეებისთვის არ არსებობს დროის მხრივ ამნისტია - ნუ დაგვავიწყდება ეს!

ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით!

ნანა კევლიშვილი

რამდენმა დედამ ჩაიცვა შავი და რამდენ გოგონას მოუკვდა ოცნებები... ერთ თანამედროვე პოეტს, სალომე ბენიძეს აქვს ერთი სენსიტიური ლექსი - **ომის ბალადა, ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი:**

„რაც შენ წახვედი, მე ვსვამ ყავას შენი ფინჯნიდან...
რაც შენ წახვედი, მე დავდივარ შენი მანქანით
და შენებურად ვასიგნალებ თავგამეტებით,..
ამეკვიატა უძილობა, ხელის კანკალი
და უსაშველოდ შევიძულე სენტიმენტები...
რაც შენ წახვედი,
მე ვიძინებ სწორედ იმ მხარეს
შენ რომ გეძინა ჩვენს საწოლში და იმ მანძილებს,
ჩვენ რომ გვაშორებს,
ვამოკლებ ფიქრით და ტკივილებს ჩვენსას ვაძინებ.
რაც შენ წახვედი,
ამინდების ცვალებადობა პირობითია
და ჩვენს სახლში ქრიან ქარები,
ჩემი თვალები დაიწყებენ ცრემლად დადნობას
მალე და ცრემლებს მერე არსად შეიფარებენ.
რაც შენ წახვედი, ჯიბით დამაქვს შენი დანა და
ჩემთან მერცხლები დაბრუნებას აგვიანებენ..
მიჭირს, მჯეროდეს, რომ რატომღაც მუდამ ავად ვარ
და არ მიხდება შენი შავი რეიბანები.
რაც შენ წახვედი, მე ვარ ორი, ასე მგონია
და თან, ჯამი ვარ ამქვეყნიურ სიმარტივეთა,
იქით, საითაც მარტოობა და სიშორეა,
არ შემიძლია, მაპატიე! ვერ მივიხედავ!
...წაუკითხავად მაგიდაზე დაგრჩა გაზეთი
და ახლა ისიც გელოდება ხელუხლებელი...
ვზივარ და ვფიქრობ, ჩემს ნაკვალევს როდის მონახავ,
თმიდან მდის წყალი და მაცვია შენი ხალათი...
ვხედავ, კვდებიან ის ფარაჯიანი ბიჭები,
მინდორს დანაღმულს, შიშით გვერდს უქცევს მდინარე,
ვიღაც ეცემა, ვიღაც გარბის და იჭრება,
არ მოიხედო! ნუ შეჩერდები! იარე!
როცა ტყვიებს და მოჩვენებებს გადაურჩები,
შემოდი.
შავბნელ მოგონებებს „არა" უთხარი,
ჩუმად შეგაბამ ჩემს შელოცილ ხატ-ავგაროზებს,
ნუ ფიქრობ მათზე, ვისაც მიწა ამოუთხარე
საკუთარ ხელით, გუშინ, ძმათა სასაფლაოზე.
...ჩვენს სახლს ვერ მოაგნებს ომი წყეული,
ვერც სატანჯველი, ვერც შიმშილი, სროლა, ბრძოლები,
სისხლში ამოსვრილი შენი ფარაჯა ისევე მიყვარს,
როგორც შენი კანი უხეში...
...იძინე მშვიდად, მთელი ღამე დაგიდარაჯებ,
შენს ამოოხვრას შევიფარებ ფრთხილად უბეში..."

რეაბილიტირებული სკოლები— მოსწავლეთა სამსახურში

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **ალექსანდრე წულაძემ** ბორჯომის მუნიციპალიტეტში ორი ახლადრეაბილიტირებული - ბორჯომის №6 და სოფელ დვირის საჯარო სკოლები საზეიმოდ გახსნა.

მინისტრმა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას განახლებულ გარემოში სწავლის გაგრძელება მიულოცა.

მინისტრი ბორჯომის №6 საჯარო სკოლაში მოწყობილ STEAM ლაბორატორიასაც ეწვია და ადგილზე გაეცნო მიმდინარე შემეცნებით პროცესს. ალექსანდრე წულაძის თქმით,

ზოგადი განათლების ახალი ხედვის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სკოლებში STEAM კლუბების გაძლიერებაზე და ამის თვალსაჩინო მაგალითს სწორედ ბორჯომის №6 საჯარო სკოლა წარმოადგენს.

ქალაქ ბორჯომის №6 საჯარო სკოლა 300 მოსწავლეზეა გათვლილი, სოფელ დვირის საჯარო სკოლა კი - 320 მოსწავლეზე. ორივე სკოლაში, საგანმანათლებლო სივრცეების პარალელურად, ფუნქციონირებს ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და რესურს-ოთახი.

სკოლები სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და უზრუნველყოფილია უსაფრთხოების, სახანძრო სიგნალიზაციისა და გათბობის ახალი სისტემით. ამასთან, მოწყობილია ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული სივრცეები.

ქალაქ ბორჯომის №6 და სოფელ დვირის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა. პროექტების ჯამური ღირებულება 9 მილიონ ლარამდეა.

ახლადრეაბილიტირებულ სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესს ასევე გაეცნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ჯინჭარაძე**, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი **ირაკლი კუპრავა**, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი**, ქალაქ ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

მადლობა მეუღლის დაფასებისთვის!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ოთარ არბოლიშვილს**! ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **დავით ზაალიშვილს**!

ბატონებო! მადლობას გიხდით ჩემი მეუღლის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის აწ გარდაცვლილის, **რობერტ ცუცქირიძის**, მისი ღვაწლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის წარმოჩენისა და ესოდენ დიდი დაფასებისთვის!

პატივისცემით **ნანა თედიაშვილი**

პოეზიის კუთხე

სიმღერებით შემაგებე

როცა ჩვილი იბადება,
სიხარულით ვმღერით, ვლხინობთ,
ყრმის სიყვარულით ვსაზრდოობთ
და შობილიც თვალისჩინობს.
მერე, წუთისოფლის გზაზე
ზურგით დაგვაქვს მძიმე ბარგი,
სიხარულთან ერთად გულს ხრავს,
ნაღველი და დიდი დარდი.
ვცდილობთ, მყარად გავუმკლავდეთ,
რომ ნაღველმა არ დაგვჯაბნოს,
დარდს და ტკივილს გულში ვმალავთ,
არ გვსურს მტერი გავახაროთ.
ვერ ავხსენი წუთისოფლის
ბედისწერა-განაჩენი,
ვიბადებით, ისევ ვკვდებით,
ტყუილია დანარჩენი.
და ცხოვრების მთელ მანძილზე,
უფალს კალთაზე ვკიდივართ,
კუთვნილი დრო გულს ვერ გვიძღობს,
პატარა ვართ თუ დიდი ვართ.
წუთისოფლის ბოლო წუთში,
გთხოვ სიმამაცე მიბოძე,
ამაშორე შიშის გრძნობა,
მხოლოდ ღიმილით ვვიდოდე.
ქედს ნუ მომიხრი და სიცოცხლეს,
შიგ თვალებში შემახედე,
მხოლოდ ერთს გთხოვ, ღმერთო სიკვდილს
სიმღერებით შემაგებე.

იზო სარქისიანი

გაიმართა სამუშაო შეხვედრა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს სოფლებში და დაბაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, ისაუბრეს გამოწვევებზე, რომელიც ამ ეტაპზე სოფლებში არსებობს.

საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია - მოქმედებაში!

ბორჯომში, თორის N6-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, შეიცვლება სახურავი, აივანი და კარ-ფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები.

საკურორტო ქალაქის იერსახის გალამაზება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება.

ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში, ბორჯომში, არაერთი პროექტი განხორციელდა

რეკრეაციული სივრცის მოწყობა დაიწყო

ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, ახალი რეკრეაციული სივრცის მოწყობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში სკვერი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედანი მოეწყობა.

პროექტით გათვალისწინებულია ტერიტორიის გამწვანება, სკვერში განთავსდება მოსასვენებელი სივრცეები, დამონტაჟდება ატრაქციონები, სკამები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მოეწყობა გარე განათების, წყლისა და წყალარინების სისტემები, სპორტული მოედანი და ფიტნეს ზონა.

პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ბორჯომში კალათბურთის ტურნირი იწყება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით დაწესებულებებს შორის კალათბურთის ტურნირი იწყება.

I - ადგილზე გასულ გუნდს 1500 ლარი, II - ადგილზე გასულ გუნდს 1000, ხოლო III-ადგილზე გასულ გუნდს 500 ლარი გადაეცემა.

განცხადებების მიღება დაწყებულია, ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე -591 95 95 41 ან მობრძანდით მისამართზე : ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მესხეთის N5.

მიტოვებული და გაპარტახებული პიონერთა ბანაკები

მემკვიდრეობას მხოლოდ უგუნურები ანადგურებენ, ყველაფერს მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი ვერ მიენიჭება, მაგრამ ღირებულებების გარეშე არც ერთი მემკვიდრეობა არ არსებობს. პიონერთა ბანაკები ყოფილ საბჭოთა კავშირში აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები სკოლის მოსწავლეებისათვის იყო განკუთვნილი. სკოლის არდადეგების დროს მათ ორგანიზებას უწევდნენ პროფკავშირები, სახვადასხვა ორგანიზაციები, ჯანდაცვის ორგანოები, ასევე ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები. ბანაკებში ყალიბდებოდა რაზმები, საბავშვო-სამოყვარულო ჯგუფები, ინტერესების მიხედვით, ასევე იმართებოდა სპორტული თამაშები, მიმდინარეობდა ინტენსიური კულტურული ცხოვრება. ბანაკის სტრუქტურა, მოზარდების უსაფრთხოების მიზნით, საიმედოდ იყო დაცული, სადაც იყო საცხოვრებელი კორპუსები (ან რამდენიმე კოტეჯი), ავტოფარეხი, სამედიცინო შენობა, კინოთეატრი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში დაიწყო პიონერთა ბანაკების თვითდაფინანსების და კოოპერატივის ბაზაზე გადაყვანა. ასე დაიწყო საბავშვო დასვენების კომერციალიზაცია. უკვე შემდგომში ზოგიერთი ბანაკი იყიდა ან იქირავა ტურიზმზე ორიენტირებულმა კომერციულმა ორგანოებმა. მოხდა ასევე ბანაკების რეორგანიზაცია პირადი საჭიროებისათვის. დაიშალა პიონერთა ორგანიზაცია და ცხადია ყოფილი პიონერთა ბანაკების პროფილი შეიცვალა ტურბაზებად და პანსიონებად; მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა ბანაკმა, რომელიც დასახლებული პუნქტებიდან შორს მდებარეობდა, მთლიანად შეწყვიტა ფუნქციონირება და დროთა განმავლობაში ნანგრევებად იქცა. მიტოვებულ პიონერთა ბანაკებს ხშირად სტუმრობენ სტალკერები - ადამიანები, რომლებიც იკვლევენ და რომლებსაც აინტერესებთ სიძველეები.

საბჭოთა კავშირში პიონერთა ბანაკები კლიმატურად უნიკალურ და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ფასდაუდებელ ზონებში შენდებოდა -ტყის პირას, ხმაურიანი ქალაქებიდან მოშორებით, ზღვის სანაპიროზე და დღეს, სწორედ ეს არის ამ ადგილების დიდი ღირებულება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ყველა მათგანი უსაფრთხოების თვალსაზრისით გეომორფოლოგიურად ზედმიწევნითაა შესწავლილი, ანუ ვერცერთ მათგანს ვერ იხილავთ მეწყერსაშიშ და პოტენციური წყალდიდობების ზონებში. რა შეიძლება ყოფილიყო ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის და ზაფხულის არდადეგების აზრიანად გატარებისათვის უკეთესი? მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შენობა დაინგრა სხვადასხვა მიზეზთა გამო (ყველა არ გახლდათ ერთი და იგივე დროს აგებული), ავარიულობის შემონმებების შედეგად, ზოგიერთის გამოყენება დღესაც შეიძლება. ამავე ადგილებში შეიძლება ახალი ნაგებობების აგებაც. მათი უმეტესობა გაყიდულია და ხშირად უცნობია ყოფილი ბანაკების ბედ-იღბალი. ბიზნესს თავისი ინტერესები აქვს და სავარაუდოდ ახალი მეპატრონეები ამ ადგილებს ბავშვებისთვის აღარ გამოიყენებენ. წესით, ეს ადგილები თავის უნიკალურობის გამო სტრატეგიულ ობიექტებად უნდა ჩათვლილიყო და არ გასხვისებულიყო. სხვათა შორის, ზოგი შენობა თუ მისი ბარელიეფი, ხელოვნების ნიმუშია; ჩვენთანაც, საქართველოში, ცხვარიჭამიას პიონერთა ბანაკის მოზაიკები, ანდაც საგარეჯოში სოფელ წყაროსთავში შენობის უნიკალური ბარელიეფი. თავისთავად ერთი სიმდიდრე ისიც არის, რომ ეს ადგილები კლიმატის და უსაფრთხოების მხრივ საგანგებოდ არის გაკონტროლებული და შესწავლილი თავის დროზე.

ბაკურიანის პიონერთა ბანაკიც, რომელიც ზესტაფონის ფეროთშენადნობ ქარხანას ეკუთვნოდა, დიდი ხანია რაც აღარ ფუნქციონირებს. ბანაკსაც და ცხადია, ფეროთშენადნობ ქარხანასაც, ზესტაფონში ახალი მფლობელი ყავს, თუმცა გაურკვეველია, რა ბედი ელის ულამაზეს ადგილას, ტყის პირას გაშენებულ ტერიტორიას. მისი ნაწილი დროებით გაქირავებულია არატურისტული დანიშნულებისთვის. ბანაკის ტერიტორიაზე მოხვედრა ძალიან ადვილია, მის მთავარ შესასვლელს ბაკურიანში შემოსვლისთანავე შეამჩნევთ, გზის მარჯვენა მხარეს, ბოტანიკური ბაღის მოპირდაპირედ. თუმცა ფართო კუთხით მისი დათვალიერება, „კუკუშკის" ლიანდაგების მხრიდან შეიძლება. სნორედ აქედან ჩანს ბანაკის ადგილმდებარეობის უნიკალურობა - როგორც ზემოთ ვახსენე, ის ბაკურიანის შემოსასვლელში მდებარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დასახლებული ადგილებიდან მოშორებით. ბანაკის ჟრიამული არ უნდა ყოფილიყო სხვისთვის ხელისშემშლელი. ბანაკის გარშემო წიწვოვანი ტყეა და ბავშვები დღე და ღამე სუფთა და ჯანმრთელ ჰაერს სუნთქავდნენ. უზარმაზარ ეზოში ფეხბურთის კარებები და კალათბურთის ფარებია შემორჩენილი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სპორტული ცხოვრება აქტიურად მიმდინარეობდა, ათასობით ბავშვი იკაჟებდა აქ ჯანმრთელობას. ბანაკის მთავარი ორსართულიანი კორპუსი გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა, თუმცა მანამდე იქვე გაშენებულ კოტეჯებში ჩამოდიოდნენ დასასვენებლად. მათი აშენების თარიღი სამწუხაროდ ვერ გამოვიკვლიე, თუმცა, სავარაუდო დრო ბანაკის გახსნისა, 50-იანი წლებია. კოტეჯებში 100-150 ბავშვი ეტეოდა, შემდეგში, როდესაც კორპუსი აშენდა, ბანაკი 300-ზე მეტ ბავშვს მასპინძლობდა. კორპუსი მყარადაა ნაშენი და მისი დათვალიერებისას არ შემშინებია, რომ ან იატაკი ჩაინგრეოდა, ან ჭერი ჩამოიქცეოდა და თან ჩამიტანდა. პირიქით, თუ არ ჩავთვლით ჩამტვრეულ შუშებს, დაჟანგებულ მილებს და სხვადასხვა წვრილმანებს, შეიძლება ითქვას, რომ შენობა კარგ მდგომარეობაშია. ცხადია, უფრო რთული მდგომარეობაა შედარებით ძველ კოტეჯებში - სასადილო ბლოკში ჭერი ჩამოქცეულა, თუმცა აშენების სიმყარე აქაც იგრძნობა.

როგორც ყველამ, ბაკურიანის პიონერთა ბანაკმაც რეორგნიზაცია განიცადა 90-იანი წლების შემდეგ. მან დედათა და ბავშვთა პანსიონის სახე მიიღო და ისევ ფუნქციონირებდა გარკვეული პერიოდი, თუმცა ცხადია, სხვა დატვირთვით. ბაკურიანის პიონერთა ბანაკის შესახებ მწირი ინფორმაცია იმით აიხსნება, რომ პირველი: - მისი ყოფილი პერსონალი, დირექტორით დაწყებული და დამლაგებლით დამთავრებული, ზესტაფონიდან ჩამოდიოდა და მათ, ან მათი შთამომავლობის მოძიებას სხვა რესურსი და დრო სჭირდება, რაც რასაკვირველია, შესაძლებელია, თუმცა შრომატევადი; მეორეც: - არანაირი ფასეული, ანდაც სულ უბრალო ინფორმაცია არ მოიძიება საბჭოთა პიონერთა ბანაკების შესახებ საქართველოში და კონკრეტულად, ბაკურიანის ბანაკზე, ინტერნეტში. აი ასე, სპონტანურად, ვინმე ენთუზიასტ სტალკერს ან ფოტოგრაფს თუ გადააწყდი შემთხვევით სოციალური ქსელების უკიდეგანო სივრცეში, ჩათვალე, რომ გაგიმართლა, ცოტაოდენ ინფორმაციას მათგან გაიგებ, მაგრამ ოფიციალური მასალები არ იძებნება. ასე რომ, მარტო ის კი არ არის გულდასაწყვეტი, ასეთი ტიპის დაწესებულებები რომ აღარ ფუნქციონირებს, არამედ არანაკლებ სავალალოა, მათ შესახებ ინფორმაციები თვალსა და ხელს შუა რომ გვიქრება.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს არაჩვეულებრივი ადგილი, თუ მას აღორძინება უწერია, ისე გარდაისახება, რომ მისი მთავარი ღირებულებები არ დაიკარგება და არ განადგურდება.

რუსუდან სხირტლაძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე